



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №19

აბაშა, 2019 წლის 1 მარტი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აბაშის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის №27 დადგენილების პირველი მუხლის მე-11¹ პუნქტით შეტანილი ცვლილების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №208 განკარგულების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, დანართის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №208 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 500 000 ლარი და ასევე, აბაშის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა 80 000 ლარი გადანაწილდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აბაშის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტებისათვის, თანდართული დანართის შესაბამისად;

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. #247);
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: მ. კვიციანი